


ენერგეტიკის სექტორის რეფორმა და ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში

საქართველოს ენერგეტიკის სექტორი რეფორმის აქტიურ ფაზაშია. რეფორმების ძირითადი ჩარჩო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაა. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, საქართველო ევროპული დირექტივების გადმოტანას ახორციელებს. რეფორმის ნაწილია ენერგეტიკული სიღარიბის პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესება და ენერგეტიკულ სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის დახმარება.



რა არის ენერგეტიკული სიღარიბე?

ენერგეტიკული სიღარიბე თანამედროვე ენერგეტიკული სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობის აღსანიშნად გამოიყენება. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ღირსეული ცხოვრებისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო ენერგეტიკული სერვისები (გათბობა, გაგრილება, განათება და სხვა).




როგორ ვლინდება ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში?

- მოსახლეობის ნაწილი ზამთარში სახლს სათანადოდ ვერ ათბობს, ძირითადად თბება ერთი ან ორი ოთახი (საქსტატი, 2022). ამასთან, ოჯახები ვერ აკმაყოფილებენ WHO რეკომენდაციებს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი მინიმალური შიდა ტემპერატურის შესახებ, რადგან ხშირად შიდა ტემპერატურა 18°C-ზე ნაკლებია (მსოფლიო ბანკი, 2021).
- საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 68% გასათბობად შეშას მოიხმარს. შეშა უმეტესად არაეფექტიან ღუმელებში იწვის, რის გამოც შიდა ჰაერს აბინძურებს და ჯანმრთელობას აზიანებს (IEA, 2020).
- შენობების დიდი ნაწილი არაენერგოეფექტიანია და გასათბობად დიდი რაოდენობის ენერგიას მოიხმარს, შედეგად კი იზრდება მოსახლეობის ენერგეტიკული დანახარჯები. განსაკუთრებით საყურადღებოა თხელკედლიანი, პანელური შენობები.
- გამკაცრებული კონტროლის მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ბუნებრივი გაზის უხარისხო საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიები, რაც იწვევს ადამიანების ინტოქსიკაციასა და გარდაცვალებას.


ევროპული კანონმდებლობა ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ

ევროპული დირექტივების მიხედვით, რომლის გადმოტანასაც საქართველო ახორციელებს, ქვეყნებმა უნდა „შეაფასონ ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი ოჯახების რაოდენობა“, განსაზღვრონ, რა ტიპის „ენერგეტიკული სერვისები“ არის საჭირო „ცხოვრების საბაზისო სტანდარტების შესანარჩუნებლად,“ დაადგინონ ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების "ეროვნული საორიენტაციო მიზანი" და შეიმუშაონ ენერგეტიკულ სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები.



რა კეთდება საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის შესამცირებლად?


1. გაუმჯობესდა ელექტროენერჯის მიწოდება. საქართველოს მოსახლეობის თითქმის 100%-ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე, 2013-2016 წლებში 29 უშუქო სოფელში 630 აბონენტი ჩაერთო ელექტროენერჯის მიწოდების ქსელში. დამატებით, 2019 წელს მოხდა ქვეყნის მასშტაბით უშუქოდ მყოფი შინამეურნეობის აღწერა და გამოვლინდა 760 ასეთი საცხოვრისი. 207 მუდმივად მაცხოვრებელ ოჯახს დაუმონტაჟდა მზის პანელები. მიმდინარეობს ახალი დასახლებების მოკვლევა შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით.



2. მიმდინარეობს რეგიონების გაზიფიცირების პროგრამა, რის შედეგადაც რეგიონებსა და სოფლებში მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა ბიომასა ბუნებრივი გაზის მოხმარებით ჩაანაცვლოს. 2022-2024 წლების გეგმის დასრულების შემდეგ მოსახლეობის დაახლოებით 93%-ს ექნება პოტენციურად წვდომა ბუნებრივ გაზზე.

3. საქართველოში ბუნებრივი გაზი და ელექტროენერჯია მოსახლეობას არასაბაზრო ფასად, შეღავათიანი პირობებით მიეწოდება (ე.წ. სოციალური გაზი). ენერგეტიკული ტარიფები რეგულირებულია და არ ხდება მნიშვნელოვანი რყევები. გრძელდება მოსახლეობის სათბობი რესურსით (შეშით) უზრუნველყოფა ხელმისაწვდომ ფასად. ე.წ. „სოციალური ქრის“ ფარგლებში.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია სოციალურად დაუცველის მოსახლეობის დახმარებისკენ. ცალკეული დახმარების სქემები მოიცავს ელექტროენერჯის ტარიფის სუბსიდირებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ან ენერგეტიკულ ვაუჩერებს თბილისსა თუ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები გარკვეული ოჯახებისათვის.




5. ხორციელდება ენერგოეფექტიანი შეშის ღუმელების პროგრამა, რაც გულისხმობს ეფექტიანი ღუმელების თანადაფინანსებას, რომ მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს და ჩანაცვლდეს დღეს გავრცელებული არაეფექტიანი ღუმელები.



6. 2023 წლიდან სავალდებულო გახდა შენობების მინიმალური ენერგოეფექტურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. შემდეგად, ყველა ახალი შენობა (რომელიც აღემატება 50 მ2-ს) ან გასაქირავებელი და გასაყიდი შენობა ვალდებულია დააკმაყოფილოს ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები. იგეგმება შენობების განახლების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და სუფთა ენერგეტიკული ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერა.

7. კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში ჩნდება ენერგეტიკული სიღარიბის ცნება და პირველადი შეფასებები, რაც შემდგომი ღონისძიებების განხორციელების საფუძველი უნდა გახდეს..



შემდგომი ნაბიჯები



არსებული სოციალური დაცვის პროგრამები მოსახლეობას ყოველთვიური ენერგეტიკული დანახრჯების გადახდაში ეხმარება, თუმცა არ უზრუნველყოფს ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორების აღმოფხვრას. ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შემცირების **გძვევადიან ღონისძიებებს**, როგორებიცაა შენობების დათბუნება, ენერჯის განახლებადი წყაროების ინტეგრირება და ა.შ.



განხორციელდეს მოსახლეობის **ცნობიერების ამაღლების** ღონისძიებები ენერგეტიკული სიღარიბის შედეგების და ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესების დაბალბიუჯეტოანი ღონისძიებების შესახებ. დაიწყოს მუშაობა **„ენერგეტიკული მხრეების“** გადამზადებასა და საინფორმაციო წყაროების გაჩენაზე, სადაც მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება მიიღოს ინფორმაცია შენობების დათბუნების ბაზარზე არსებული მასალებისა და ტექნოლოგიების, ხელმისაწვდომი პროგრამებისა და დახმარების სქემების შესახებ.

💡 დაიწყო მუშაობა შენობების განახლებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრირების **თანადაინანსების პროგრამების** შემუშავებაზე.

💡 საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის თავისებურებების და დაფარული ასპექტების იდენტიფიცირებისათვის ჩატარდეს რაოდენობრივი და თვისებრივი **კვლევები**, რაც გადაწყვეტილების მიმღებებს დაეხმარება ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების მიზნობრივი პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებაში.

💡 გაგრძელდეს მუშაობა ენერგეტიკული სიღარიბის საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით.

წყაროები:

- საქსტატი (2022), შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება
- UNESCAP, 2021
- World Bank / ESMAP, 2021
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს სატყეო სააგენტო
- სოფლის განვითარების სააგენტო

მასალა მომზადებულია პუბლიკაციაზე "ენერგეტიკული სიღარიბისა და მონიტორინგის პრინციპები საქართველოსთვის" დაყრდნობით, "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის" (WEG) მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის ხელშეწყობით. შინაარსი ეკუთვნის WEG-ს და შესაძლოა არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

დიზაინი: ForSet

